საქართველო ევროინტეგრაციულ პროცესებში

თამარ ლაგვილავა
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: t.lagvilava@banklabonline.com

რეზიუმე

ასოცირების შეთანხმება იყო მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოსთვის ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. შეთანხმება ძირითადად ქვეყნის მოდერნიზაციის სამოქმედო გეგმაა, იგი უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ქვეყნის ევროინტეგრაცია შიდა პოლიტიკის პრიორიტეტად აქცია. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას ეკონომიკის და დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროში, როგორიცაა მაგალითად, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგინალური განვითარება და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ევროინტეგრაცია, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, ეკონომიკური ზრდა.

ევროპა არ არის ერთფეროვანი, განსხვავებულია მასში შემავალი ქვეყნების ტრადიციები, ღირებულებები და მსოფლმხედველობა.

ყველა ქვეყანას და მათ შორის საქართველოს გააჩნია ღირებულებათა ერთობლიობა, ამასთან არსებობს ზოგადევროპული ღირებულებები და ევროინტეგრაცია გულისხმობს სწორედ ამ ღირებულებათა დაახლოებას.

საქართველოს უსაფრთხო და სტაბილური განვითარებისთვის ძალზე პრიორიტეტულია ევროპასთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება.

ქართულ-ევროპულ ურთიერთობებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველომ ამდენი ხნის მანძილზე ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება მაინც ვერ მოახერხა, ამის მრავალი მიზეზი არსებობს, მათ შორის ის, რომ ჩვენს ქვეყანას რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში უხდებოდა სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური განვითარება. იმისათვის, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი მნიშვნელოვანია თუ როგორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა გატარდება. პირველ რიგში აუცილებელია ეკონომიკის განვითარების დასავლურ მოდელებზე გადასვლა: მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, საბანკო სისტემის თანამედროვე სტანდარტებზე აყვანა. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ძალიან მცირეა საქართველოში წარმატებულ საწარმოთა რიცხვი.გარდა ეკონომიკისა, ევროპის გზაზე ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო განათლებას.

2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება იყო მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოსთვის ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. შეთანხმება ძირითადად ქვეყნის მოდერნიზაციის სამოქმედო გეგმაა, იგი უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ქვეყნის ევროინტეგრაცია შიდა პოლიტიკის პრიორიტეტად აქცია. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ამოქმედების შედეგები უკვე საგრძნობია 2016 წლის მონაცემებით ექსპორტის მაჩვენებელი 12 %-ით გაიზარდა. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DCFTA) ემსახურება ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შედეგად საქართველოსთვის ევროკავშირის 500 მილიონიანი ბაზარი ხელმისაწვდომი იქნება ტარიფებისა და კვოტების გარეშე. იგი ხელს შეუწყობს სურსათის უვნებლობის სფეროში ევროპულ სტანდარტებთან ეტაპობრივ დაახლოებას, გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას, საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდას, ინოვაციური მიდგომები-

სა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, რაც გაზრდის მთლიანი შიდა პროდუქტის, ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებელს.

საქართველო ირჩევს ევროპას, იმისთვის, რომ დაიმკვიდროს ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე, პატივი სცენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ააშენოს დემოკრატია, დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, განავითაროს ეკონომიკური მდგომარეობა და დაამკვიდროს საერთაშორისო სტანდარტები, როგორც პოლიტიკაში ისე ყველა სფეროში. საქართველო იქნება არა დაქვემდებარებული, არამედ ყველა ევროპული სახელმწიფოს თანასწორი ამ კავშირში. ევროკავშირის სტრუქტურა გამოირჩევა მართვის დემოკრატიული და გამჭვირვალე მეთოდებით და მისი ყველა სიკეთე აისახება ქვეყნის მომავალზე.[1]

ამდენად, ევროინტეგრაცია ეს არ არის მხოლოდ რაიმე სახის ცვლილება ან კანონების მიღება, არამედ ეს არის განვითარების პროცესი.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ეკონომიკას ანვითარებს ინვესტიცია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება კი აღრმავებს სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს ევროკავშირთან, რაც ინვესტიციებისათვის დამატებითი სტიმულის მიმცემი იქნება. ეს შეთანხმება ხელს შეუწყობს გამჭვირვალე და სტაბილური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას, ქართული პროდუქციის საექპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას და გაფართოებას. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მიხედვით დღეს ფუნქციონირებად ბიზნესს მოეხსნება არსებული შეზღუდვები და მსოფლიოს ყველაზე დიდ ბაზარზე შეუზღუდავი წვდომის საშუალება მიეცემა, თუმცა ასოცირების ხელშეკრულება გარკვეულ რეგულაციებსაც გულისხმობს, საქართველოში წარმოებული პროდუქცია უნდა იყოს უსაფრთხო და უვნებელი, ეს რა თქმა უნდა ბიზნესის მხრიდან დამატებით ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ, მეორე მხრივ, საქონელი ხდება კონკურენტუნარიანი და მაღალ სტანდარტებს დააკმაყოფილებს, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის ქვეყნის შემოსავლებს და ცხოვრების დონეს.

ევროკავშირთან ასოცირებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი, შესწავლილ იქნას ევროკავშირის ბიზნესგარემო, რათა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი პოტენციალი და მიღწეულ იქნას ჩვენი ქვეყნის ეფექტიანი ინტეგრაცია ევროსტრუქტურებში.

მთავარია საქართველომ უზრუნველყოს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან თანაბარუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების ჩამოყალიბება და ყოველივე ეს უნდა მოახერხოს საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაძლიერებით.

ბიზნესგარემოს საკმაოდ რთული სტრუქტურა გააჩნია. მასში ბიზნესზე არსებითად მოქმედი კომპონენტებიდან მნიშვნელოვანია: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, სოციალურ-კულტურული, დემოგრაფიული, მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ფაქტორები. შეთანხმება ითვალისწინებს ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას ეკონომიკის და დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროში, როგორიცაა მაგალითად, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგინალური განვითარება და სხვა.

ბიზნესგარემოს სისტემური ანალიზი და შესწავლა შესაძლებელია ინსტიტუციური მიდგომის გამოყენებით, რისთვისაც აუცილებელია საქართველოში ინსტიტუტების ტრანსფორმაცია, თუმცა პირდაპირი კოპირება არ იქნება შედეგიანი.

დასაწყისისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია ევროკავშირის ბიზნესგარემოსთან ევროკავშირში შემავალი ქვეყნების და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ინსტიტუციური სტრუქტურების თავსებადობის გარკვევა.

პირველ რიგში პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: თუ რა უშლის ხელს, ჩვენს ქვეყანაში, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ბიზნესის ფუნქციონირებას. რაც შეეხება ცალკეული სფეროების განვითარების დონის განსაზღვრას, ამისთვის გამოიყენება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება იმ კონკრეტული სფეროს (სფეროების) გამოკვეთა, რომლის უპირატესი განვითარებაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.[2]

[1] http://intermedia.ge

[2] ბედიანაშვილი გ. ევროკავშირის ბიზნესგარემო და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციური ფაქტორები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები 12, გამომც. „უნივერსალი", თბ., 2015.

ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია.

ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით ეკონომიკური გლობალიხზაციის დონე საერთაშორისო ვაჭრობის და უცხოური კაპიტალის მოძრაობის კრიტერიუმებით განისაზღვრება.

ტერიტორიითა და მოსახლეობით ისეთი მცირე ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, გლობალურ საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იძლევა საშუალებას, შენი ეკონომიკური საზღვრები გააფართოვო. ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით საქართველო მე-19 ადგილზეა, რაც განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალურმა პოლიტიკამ და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობამ.

საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყანას ძლევს საშუალებას გამოიყენოს ე.წ. შედარებითი უპირატესობა, ანუ სხვა ქვეყნიდან შემოიტანოს ის საქონელი და მომსახურება, რისი წარმოებაც ქვეყნის შიგნით უფრო ძვირია, და პირიქით, სხვა ქვეყნებში გაიტანოს ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაც თვითონ უფრო იაფი უჯდება.

ამ შედეგის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად თავისუფალია საერთაშორისო ვაჭრობა, ანუ აწესებს თუ არა ქვეყანა საბაჟო ტარიფებს, რაოდენობრივ შეზღუდვებს და აკრძალვებს უცხოური პროდუქციის იმპორტზე.

ინდექსის მეორე ძირითადი კრიტერიუმია უცხოური კაპიტალის შემოდინება. ქვეყნის ეკონომიკას ავითარებს ინვესტიცია, ამიტომ განვითარებადი ქვეყნები განსაკუთრებით ცდილობენ ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ბიზნესგარემო შექმნან.[3]

ხოლო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის განსაზღვრისთვის გამოიყენება მრავალი კომპონენტი მათ შორის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. ამ მხრივ 2015 წლის მონაცემებით მდგომარეობა საქართველოში გაუმჯობესებულია, თუმცა ევროპის წაყვან ქვეყნებს ჩამორჩება ბაზრის გახსნილობის და მართლწესრიგის ინსტიტუტების განვითარებით, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისთვის.

აღნიშნული პრობლემის დაძლევისთვის ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ევროკავშირის ბიზნესგარემოს პოტენციალი, ამისთვის კი უნდა შექმნას უფრო მიმზიდველი ბიზნესგარემო, გაატაროს ანტიკორუფციული ღონისძიებები, განახორციელოს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, ჩამოაყალიბოს შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმები.[4]

[3] ნამჩავაძე ბ. საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაცია, ჟურნალი Forbes, მაისი, 2015.

[4] ბედიანაშვილი გ. ევროკავშირის ბიზნესგარემო და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციური ფაქტორები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები 12, გამომც. „უნივერსალი", თბ., 2015.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჰერსტი პ., ტომპსონი გ., "გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი." "დიოგენე", თბ. 2005
2. საგარეო საქმეთა სამინისტრო www.mfa.gov.ge
3. ევროკავშირის საბჭო http://www.european-council.europa.eu
4. European Economic Review, Exports to Five Industrial Countries
5. European Commission (2005-11-10). "1972". The History of the European Union. Enlargement - Europa http://eur-lex.europa.eu/en/treaties/index.htm
6. European Union Monitoring Mission in Georgia. http://www.eumm.eu/ge/eu_in_georgia/what_is_eu/
7. "Georgian Business Week" Millenium Challenge Corporation Board Approves $295,3 Million Compact with Georgia., 16 August 2005
8. Haksoon, K (2010), "Political Stability and Foreign Direct Investment", International Journal of Economics and Finance, 2(3);
9. Harris R. G., Globalization, Trade, and Income, Canadian Journal of Economics, 1993 V.26-№4.

GEORGIA IN EUROPEAN INTEGRATION PROCESSES

TAMAR LAGVILAVA
PHD of GTU
E-mail: t.lagvilava@banklabonline.com

Summary

The signing of the Asociation Agreement in 2014 was an important milestone for Georgia on its path to EU membership. The Agreement is essentially a modernisation action plan, providing an opportunity to strengthen democratic institutions and promote economic growth. The Asociation Agreement brings new horizon to EU-Georgia relations. The DCFTA, wich is an integral part of the Asociation Agreement, envisages the gradual economic integration of Georgia with the EU internal market. As a result, Georgia will gain access to the 500 million consumer market without tariffs and quotas.

In addition, the Agreement envisages gradual establishment of European standards in all fields of economy and other sectoral policies such as in: transport, energy, environment, agriculturw, tourism, research and technology, employment and social policy, healthcare, education, culture, civil siciety and regional development.

Keywords: European integration, Economic and Trade relations, An Agreement on Deep and Comprehensive free trade area, Economic growth.